ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 სამშაბათი, 21 აგვისტო № 1559

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". ტელეფონი № 372.

სააქციონერო საზოგადოების ფაბრიკის საწერ-ქაღალდის საწყობი

გ. ი. პალლიზენისა

20 აგვისტოდან გადადის ახალს სადგომში, გოლოვინის პროსპექტზე, ტფილისის სობორნის ქვეშ, თავ. მუხრანსკისეულ მანთაშევის სახლში. (5—2)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

გ. ა. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მუღიანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ი. ბ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

მ. ბ. ფელდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ნ. დ. მარგველიძე—საღოსტაქრო 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის, უფასოდ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274. (წლ.)

ქუთაისში, გ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, იყიდება გაზეთ „ცნობის ფურცლის"-ს ნომრები. ფასი თითო ნომრისა 3 კაპეიკი.

სკოლა და პანსიონი
ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის.

ყმაწვილებს იღებენ ყოველ დღე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბრიდან. ოლგას ქუჩა (Ольгинская) № 13. (10—1)

ქალების პროგიმნაზია
ელენე ზახტაძისა
დ. ხონში

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ, პირველ და მეორე პროგიმნაზიულ და აგრეთვე წელს გახსნილ მესამე პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდან და გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოგზავნონ პროგიმნაზიის უფროსის—ელენე ზახტაძის სახელობაზე. სწავლის სათასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში 30 მანეთია წელიწადში. (5—4)

დაარსდა ქალაქ ტფილისში
პირველი
ცინკოგრაფია
წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.

(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. შეიძლება გადაღება ძველი ნაწერების ნიმუშებისა, სიგელებისა და სხვ. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ გადასაღები დედანი ფოსტით გამოგზავნონ. გაკეთებული კლიშე გაეგზავნებათ ფასის ზედ-დადებით. (1000—23)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი «რეიტერის სააგენტოს» სწერენ კაპშტადტიდან: თუ საქმე ასე წავიდა, როგორც ეხლა მიდის, იქნება კაპის პარლამენტი ოქტომბერშიაც არ შეჰკრიბონო. სააგენტოს დეპეშაში ნათქვამია:

«პროგრესისტების თვალ-საჩინო ნაწილი და აგრეთვე აფრიკანდერთა საზოგადოების რამდენიმე წევრი იმ აზრისა არიან, რომ პარლამენტის შეკრება შეუძლებელიაო. მთელი ქვეყანა აშფოთებულია და არეულია და ამიტომ ხალხის ნამდვილი წარმომადგენლების არჩევა მეტად ძნელი საქმე იქნებაო; ამას გარდა ეშინიათ: თავათ მთელ სამხრეთ-აფრიკას ცეცხლი უკიდია, და ვაი თუ პარლამენტის ზოგიერთმა წევრმა ცხარე ლაპარაკით უფროც გააძლიერონ ეს ცეცხლიო. თუ პარლამენტი არ შეიკრიბა, მაშინ სახელმწიფო ხარჯებს გუბერნატორის ბრძანებით მოჰკრებენო...

გუბერნატორის ბძანებით ხარჯებს მოჰკრებენო... ზოგიერთ ქვეყნებში ეს ჩვეულებრივი წესია, მაგრამ ინგლისში წარმოდგენითაც ვერ წარმოუდგენიათ, რომ ხალხის არჩეული კაცების დაუკითხავად და დაუმტკიცებლად თუნდ ერთი კაპეიკი, შაური გამოართვას ვისმეს მთავრობამ. ამის კაკონებაზე სულ ცეცხლი მოიკიდეს თურმე ოპოზიციამ და ოპოზიციის გაზეთებმა. ჯერ ადრევე, პარლამენტის დახურვამდე, ცნობილი ჯონ მორლეი დაეკითხა მთავრობას ამის თაობაზე. ჩემბერლენმა უპასუხა: კაპის პარლამენტი ოქტომბერში შეიკრიბება და საჭირო ხარჯებს დაამტკიცებსო. ეხლა რაკი ლონდონში ხელ-მეორედ ამბავი მოსულა, კაპის პარლამენტი ოკტომბერშიაც არ იქნება შეკრებილიო, გაზეთებიც ისევ დიდად გაჰწყრენ და გაკიცხნენ მთავრობას, როგორ თუ პარლამენტის ნება დაურთველად გადასახადების მოკრეფას ჰპირდებითო. ამ ამბავთან ერთად მეორე შესაზარი ამბავი მოსულა სამხრეთ-აფრიკიდან: გრააფ-რეინეტში 4 აგვისტოს სამი აჯანყებული ბური (ინგლისის ქვეშევრდომები ყოფილან) სიკვდილით დასაჯესო. «დეილი ნიუსი»-ი ჯერ ამ ამბავზე აცხადებს თავის გულის წყრომას.—გაზეთი ამბობს:

«ამ კაცებს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ ზნეობის წინააღმდეგ. თავიანთ ერის დასაცველად თავი გამოიდვეს და თავიანთ ხელმწიფეს (ინგლისისას) ბრძოლა დაუწყეს. საქმემ რომ მოიტანოს, აქ ინგლისელშიაც ცხრა უსათუოდ იმნაირადვე მოიქცევა, როგორც ეს კაცები მოიქცნენ. იქნება სახელმწიფოს სარგებლობა მოითხოვდეს, რომ ეს კაცები სასტიკად დაისაჯნენ, მაგრამ ვიდრე აჯანყებულებს უდიერად დასჯიდნენ, დამსჯელებმა თითონაც ერთი წესი უნდა შეასრულონ უსათუოდ: თავიანთივე გამოცემული კანონი სრულიად უკლებლივ უნდა შეასრულონ, წვრიმალი უმნიშვნელო კანონიც კი უნაკლულოდ უნდა აასრულონ. თუ ასე არ მოიქცნენ, მაშინ ყველას სრული ნება აქვს თქვას: დამსჯელი დასჯილს მხოლოდ ძალით სჯაბნიო, უბრალო ფიზიკური ჯანით და ღონით სჯაბნისო. ეს აუცილებელი წესიასრულებულია კაპის კოლონიაში? სრულებითაც არაა ასრულებული. ამ ბოლოს დროს არავის არა ჰქონია მიცემული კანონიერი უფლება კაპის ხაზინიდან სახელმწიფო ფულები გაეცა და დაერიგებინა. ამ ფულების ხარჯვა აშკარა, ცხადი უკანონობა იყო. გუბერნატორი და მისი მინისტრები სწორედ ისეთივე დამნაშავეები არიან, როგორც ის სამი კაცი, გრააფრეინეტში რომ თოფით დახვრიტეს: კაპის პარლამენტმა მარტო ივნისის გასვლამდე მისცა ნება ხაზინას ფულის ხარჯვისა და არა სამუდამოდ».

ამის შემდეგ გაზეთი არკვევს, რა შედეგი მოჰყვება კაპის კონსტიტუციის დარღვევასა. გაზეთი ამბობს:

«როცა თავის ხელმწიფეს ერთგულების ფიცს აძლევდა, კაპის პარლამენტის წევრი, როგორც ავტონომიური სახელმწიფოს მოქალაქე იღებდა ამ ფიცს. ინგლისის მეფემ კარლოს 1-მა (მე-XVII საუკუნეში იყო. ხალხი აუჯანყდა ამ მეფეს, დიდი რევოლუცია მოახდინა და თითონ მეფეს თავი მოჰკვეთა) რომ ხალხისაგან არჩეული კაცების დაუკითხავად, მარტო თავისი სულ-მდაბალი მოსამართლეების შემწეობით გადასახადების კრება დაიწყო, მაშინ ჰემპდენმაც თავის მიმდევრებით სთქვა: მეფე თავის ფიცს არ ასრულებს, ჩვენც თავისუფლები ვართ მიცემული ფიცისაგანაო. ეხლა თვით

ფელეტონი

ცხოვრება და ხელოვნება

შ. არაგვისპირელი. „ჩემი სამშობლო ჩემი გულია" („მოამბე" № III) და ეკ. გაბაშვილი. „ლუარსაბს პატრონი გაუჩნდა" (იქვე № IV).

II *)

„ლუარსაბს პატრონი გაუჩნდა" გვაჩვენებს, რომ თუ ვინმემ შებღალა ქ. ეკ. გაბაშვილის წარმოდგენა ცხოვრებაზედ, ის ველარავითარს სიბრალულს ვერ პოებს საზოგადოდ გულკეთილსა და ლმობიერ ავტორ-ქალში; თუ ვინმე გამოჩნდა ისეთი რომ ქ-ნ ეკ. გაბაშვილის წმიდა ოცნება შემუსრა, იცოდეთ მთელს თავისს ნიჭს და ლიტერატურულ ხერხს იმას მოახმარს, რომ ასეთი პირი ჩაჰქოლოს. ამ შემთხვევაში მწერალი ცხოვრების გამოსახვის ნიადაგს სტოვებს და ულმობელ, მკაცრ ბრალმდებლად იქცევა.

ავტორსა სწამს, რომ ყოველ ბოროტმოქმედებაშია ჩანერგილი კეთილი თესლი, რომელიც ადრეა თუ გვიან ნაყოფს გამოიღებს. ავტორს არა ჰგონია, რომ ცხოვრებაში შესაძლებელი იყოს გაუსწორებელი ცუდი. მისის აზრით, არა საფლავი, არამედ ცხოვრება ასწორებს კუზიანს, მაგრამ თუ ვინმე გამოჩნდა ზნეობრივად ისეთი კუზიანი, რომელიც აცუდებს და აჭარწყლებს ავტორის ზოგიერთ შეხედულებას და პრინციპს, მაშინ ყოვლად ულმობლად მათრახებით სცემს ასეთს პირს მწერალი ქალი.

ერთი ასეთი არსებითი შეხედულება ქ. გაბაშვილისა ცოლქმრობის წმიდა კავშირია. მისის აზრით, ორ სქესთა კავშირი უნდა იყოს შედეგი თავისუფალის რჩევისა, უნდა იყოს დაფუძნებული მარტო და მხოლოდ ალტაცებულს გრძნობაზედ, იმ გრძნობაზედ, რომელიც შესდგება ერთმანეთის თავგანწირულის სიყვარულიდან, ერთმანეთის ღრმა პატივისცემის, მორიდებისა და მეგობრულის მორჩილებისაგან. ამგვარი კავშირი არის წრფელი, გულ ახდილი, ნათელი; არავითარი ორპირობა, არავითარი დამალული ანგარიში, არავითარი ტყუილი არ არის წარმოსადგენი ასეთს კავშირში. მხოლოდ ამგვარად შეკავშირებულ არსებათ შეუძლიათ შეადგინონ ის ოჯახი, რომელიც საზოგადოების ქვა-კუთხედია, მხოლოდ ასეთს ოჯახს შეუძლია აღასრულოს დიდი ვალი თავისის ერისა და მამულის წინაშე.

როდესაც ავტორი ცხოვრებაში დაინახავს, რომ ეს მისი წარმოდგენა ზოგიერთჯერ არ მართლდება, ის ამას არ მალავს და მწერლისათვის მიუცილებელის გულწრფელობით საქვეყნოდ გამოაფენს ასეთს მაგალითს ცხოვრებისას, მაგრამ მთელს თავისს ძალ-ღონეს იმას ანდომებს, რომ ასეთი მოვლენა დაჰგმოს და ამგვარი პირები ჯვარს აცვას და აღგავოს პირისაგან ქვეყნისა. ის არ დაიშურებს არაფერს, რომ ყოველივე ცუდი თავზედ მოახვიოს ასეთს პირს, ის აღარავითარს გამმართლებელ საბუთს აღარ ჰპოვებს, აღარავითარს შესანდობარ საგანს აღარ იძიებს და სჯის, სჯის ისე, როგორც თვით უსასტიკესი სამსჯავრო.

როცა ავტორი შეხვდება ცხოვრებაში ისეთს პირს, რომელიც მის კეთილ წარმოდგენას არღვევს, მაშინ ყოველივე თვისება ამ კაცისა მომაკვდინებელ თვისებად მიჩნია, თვით ისეთიც, რომელიც სრულიად არ არის დამოკიდებული ადამიანის ნებაზედ და ყოველივე იმისათვის ზიზღს უცხადებს, რის გამო სხვა შემთხვევაში იქნებ ცრემლები დაენთხია.

შეხვედრია ავტორს ცხოვრებაში ისეთი მოვლენა, რომ ხშირად ორ სქესთა კავშირი სულ სხვა მოსაზრებაზედაა დამყარებული, ვიდრე ალტაცებულ და წმინდა გრძნობაზე; დაუნახავს ავტორს, რომ ხშირად ამ კავშირის შეკვრაში ყოველივეა მხედველობაში მიღებული, ვიდრე საუკეთესო საჭირო მხარისა,—თავგანწირულის გრძნობისა—ავტორს ასეთი მოვლენა დაუხატავს "ლუარსაბს პატრონი გაუჩნდა"-ში და აღარავითარი შოლტი არ დაუშურებია მოქმედ პირთათვის.

ავტორი მწარის, გამკიცხველის ირონიით აღგვიწერს ლუარსაბის (მოთხრობის გმირის) ხასიათსა და გარემოებას. ყოველივე წვრილმანი ავტორს აბრაზებს: იგი „ჩინებული ყმაწვილი კაცია, დიპლომიანი, უმაღლეს სასწავლებელში კურს დასრულებული.. ფრიად მჭევრ-მეტყველი, მცოდნე და სინდისიერი ვექილი"; ლუარსაბი "მღვდლის შვილია" და პირველად სწავლა სემინარია-

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 1557.

კონსერვატორებშიაც კი ბევრი არ გამოვა, რომ ჭეშმპდენის საქციელი დაძრახოს. ეტყობა ბატონ კორდონ სპრიგს (კაპის პირველი მინისტრის) მეტად მარჯვე, მოხერხებულ პოლიტიკად მიაჩნია პარლამენტის შეკრების დაგვიანება. ვითომ ქვეყნის სარგებლობას იხვევს ხელზე საბუთად, ნამდვილად კი პატივცემულს მოღვაწეს ეშინიან,ვაი თუ პარლამენტმა თანამდებობიდან გადამაყენოსო. იმას კი ვეღარა ჰხედავს, რომ ამნაირი უკანონო ქცევით არეულობას უწყობს ხელსა და ყველას კანონიერ საბუთს აძლევს აჯანყებისათვის>.

საფრანგეთი. სადეპარტამენტო საბჭოებმა ყველგან მოქმედება დაიწყეს; ბევრმა მათგანმა განაჩენები დაადგინეს და მთავრობის დემოკრატიული პოლიტიკა მოიწონეს. საბჭოებმა, სხვათა შორის, სურვილი გამოსთქვეს, მთავრობამ კანონი ბერების საზოგადოების თაობაზე მტკიცედ შეასრულოსო, მოხუცებული და დაშავებული მუშების დაზღვევის თაობაზე კანონი გამოსცესო, სამხედრო ბეგრისათვის ორი წლის ვადა დააწესოს, შეღავათი და აზატობა ამ სამსახურიდან არავის არ უნდა ჰქონდეს, სამსახურიდან გამოსულ ჯარის-კაცებს სასწავლებლად აღარ უნდა იბარებდნენ, მაწანწალა ხალხის წინააღმდეგ სასტიკი ღონისძიება უნდა მიიღოს მთავრობამ, ავტომობილების მიმოსვლისათვის რაიმე წესი უნდა დააწესოსო და სხვ. ამისთ. მარტო ქვემო-ლუარის დეპარტამენტის კლერიკალურმა საბჭომ გაბედა და გამოაცხადა, ბერების საზოგადოებათა კანონის წინააღმდეგი ვართო. ამ დეპარტამენტს სენატშიაც შესაფერისი წარმომადგენელი ჰყავს: ესაა ცნობილი გენერალი მერსიე.

✿ «დეილი მაილ»-ს გაუგია, საფრანგეთიდან რომ ბერების კრებულები მიდიან, მომეტებულ ნაწილად ინგლისში და ბელგიაში წავლენო. ამ ქვეყნებში ბევრი განყოფილება აქვთ დაარსებული კრებულებსაო.

✿ გაზეთები იუწყებიან; ბენედიქტელების კრებულის ყველა ბერ-მონაზნებმა კაცებმაც და ქალებმაც, გადასწყვიტეს ნება რთვას ნუ ვითხოვთ და საფრანგეთიდან გადავსახლდეთო; ამ კრებულის წინამძღვარს დელატს განზრახვა თურმე აქვს კრებული საფრანგეთიდან დიდის ამბით გაიყვანოს: როცა კანონით დანიშნული ვადა გავა, ყველა ბერები, ქალი თუ კაცი, სოფ. სოლემში შეიკრიბებიან (ამ სოფელში ბენედიქტელების ძველი მონასტერი არსებობს); აქედან ყველანი ქვეითად საზღვრისაკენ გაემართებიან; იქნება გუნებაში საიდუმლო ფიქრიც ედვათ, რომ ესეთი პროცესია სხვა-და-სხვა მანიფესტაციას გამოიწვევსო და მთავრობას ცოტათი მაინც შეაშინებს და დააფიქრებსო.

ავსტრ-უნგრეთი. უნგრეთის დამოუკიდებელი დასის ამომრჩევლებმა საჩივარი მისცეს უნგრეთის პარლამენტს. საჩივარზე მრავალ კაცს უწერია ხელი. მოჩივრები სთხოვენ პარლამენტს, პირველ მინისტრად ნამყოფი ბანფი ყველა თავის მინისტრებით სამართალში უნდა მიეცესო. იმიტომ უნდა მიეცეს, რომ არჩევნისა, პრესისა და კრებების თავისუფლების წესები დაარღვიაო. მოჩივრები თხოულობენ აგრეთვე, სასტიკი გამოძიება დაინიშნოს, ბანფის მართლა ხომ არა ჰქონია განზრახვა, კონსტიტუცია გაეუქმებინაო. ეს ამბები ორი წლის წინად მომხდარა უნგრეთში. რამწამს შეიკრიბება პარლამენტი, პირველად ამ საქმის გარჩევას შეუდგება.

შვეცია. «ბერლინერ ტაგებლატ»-ს ატყობინებენ: სკანდინავიის—შვეციის, ნორვეგიის და დანიის—მუშებმა კრება მოახდინესო. კრებას ერთხმად დაუდგენია: შვეციაში საყოველთაო საარჩევანო უფლება უნდა დაწესდესო, ესე იგი ყოველ სრულ წლოვანს კაცს უფლება უნდა მიეცეს სახელმწიფო არჩევანში მონაწილეობა მიიღოსო. კრებამ დაადგინა: თუ შვეციის მთავრობა კიდე წინანდებურად გაჯიუტდება და მუშებს პოლიტიკურ უფლებას არ მიანიჭებს, მაშინ, მეტი ჩარა არ არის, შვეციელმა მუშებმა საყოველთაო გაფიცვა უნდა მოახდინონო. დანიის და ნორვეგიის მუშები პირობას აძლევენ თავიანთ შვეციელ ამხანაგებს,—თუ საქმე გაფიცვამდე მივიდა, ზნეობრივადაც და ქონებრივადაც დახმარებას გაგიწევთო.

ბელგია. მკითხველს ეხსომება, რომ ამას წინად ბელგიელ სოციალისტების მეთაურმა ვანდერველდემ ურჩია ინგლისის მუშების საზოგადოებათ, ყველა ევროპიელი მუშები დაგეხმარებით ფულით, ოღონდ თქვენ საყოველთაო გაფიცვა მოახდინეთ და ამით ინგლისის მთავრობას ძალა დაატანეთ და ბურებთან ზავი ჩამოაგდებინეთო. გაზეთებს გაუგიათ, ინგლისელ მუშების საზოგადოებათ ამაზე უარი შემოუთვლიათ ვანდერველდისათვისაო.

სამხრეთ-აფრიკა. ცნობილი ინგლისელი სამხედრო კრიტიკოსი ჩარლზ ვილიამსი ასე ასურათებს ინგლისის სამხედრო მდგომარეობას სამხრეთ-აფრიკაში. ვილიამსი სწერს გაზ. «მორნინგ ლიდერ.»-ში:

«ახალგაზრდა, მხნე კრიუცინგერი ორანჟეს მდინარეს გადმა, ორანჟეს რესპუბლიკაში განდევნეს, მაგრამ რა იქნა, სად წავიდა იმისი რაზმი—ეს არავინ იცის. კრიუცინგერის რაზმში კი სულ მცირედ 800 კაცი ითვლებოდა. შეფერსის რაზმი ეხლა ზღვამდე მიაღწევდა. არც თუ ის იქნება გასაკვირველი, რომ დევეტიც ხელ-ახლად კაპის ახალშენში შეიჭრეს. ცუდადაა ჩვენი საქმე. ეხლა ცხადად ვხედავთ, რომ ჩვენ რესპუბლიკები ნამდვილად დაჭერილი და დაპყრობილი არა გვქონია. ბურებმა სწორედ იმდენივე ადგილი დაიჭირეს ჩვენ ძველ კოლონიაში, რამდენსაც რესპუბლიკებში ჩვენ გვიჭირავს. ბურების შიშით ჩვენს ჯარებსა და ქარავნებს გზაზე ვეღარ გაუვლიათ. ისიც კი ვერ მოგვიხერხებია, რომ ჩვენი ერთგული კოლონისტები მტრის დაცემისაგან დავიხსნათ».

«ტაიმს»-ი უფრო კარგის თვალით უცქერის სამხრეთ-აფრიკის ამბებს, მაგრამ მაინც რჩევას იძლევა, კარგი იქნება, რომ დაღალული ჯარების მაგივრად ინდოეთიდან ორიოდე პოლკი დაიბაროს მთავრობამაო.

გაზ. «სპიკერ»-ში პოლკოვნიკი ჰანნა სულ მიწასთან ასწორებს კიტჩენერისაგან გამართულ ბლოკ ჰაუზებს (პატარ-პატარა სიმაგრეებია) ავტორი ამბობს: «ინდოეთში ანდაზადაა ნათქვამი: ჯარების ციხეებში დამწყვდევას, ისევ ისა სჯობია, ბარემ ბარგი-ბარხანა აკრიფონ, გუდა-ნაბადი აიკიდონ და შინისაკენ გასწიონო. ეს ანდაზა ახლა სამხრეთ-აფრიკაზედაც ითქმისო.

✿ ვილიამსის სიტყვა იქნება გამართლდეს. გაზ. «როსსია»-ს სწერენ ლონდონიდან: «აქაურს გაზეთებს ამბავი მოსვლიათ, დევეტი და შტეინი კაპის კოლონიაში შევიდნენო».

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 20 აგვისტოს, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. დ. ზ. მელიქიშვილის თავმჯდომარეობით, მოხდა სხდომა ტფილისისა და ქუთაისის გუბ. თავად-აზნაურობის კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს მომავალ **საიუბილეო დღესასწაულის** მოწყობა. სხდომაზე განხილულ იქმნა რამდენიმე საქმე.

✦ გუშინ მოხდა შეერთებული სხდომა ტფილისის ქალაქის გამგეობისა და განსაკუთრებულის კომისიისა, რომელზედაც განხილულ იქმნა საკითხი, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს ქალაქმა მომავალ **საიუბილეო დღესასწაულში.**

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინად ტფილისის ქალაქის საბჭომ გარდასწყვიტა უკვდავ ჰყოს სახელი განსვენებულ **დიდის მთავრინას ოლღა თეოდორეს ასულისა** ტფილისში ძეგლის აგებით. საბჭომ აგრეთვე დაადგინა ძეგლის ასაგებ მთელი თანხის შესადგენად ხელის მოწერა იქნეს გამართული კავკასიაში. ამ დადგენილების თანახმად, ქალაქის გამგეობამ ამ დღეებში შუამდგომლობა აღძრა უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ნება დაერთოს მას აღნიშნულ მიზნისათვის ხელის მოწერით ფული მოაგროვოს.

✦ გუშინ-წინ ტფილისის ტრამვაის მსახურთათვის შემოღებულ იქმნა ახალი წესები. მსახურთ დაურიგეს წიგნაკები და ხელ-წერილი ჩამოართვეს, რომ თანახმანი არიან ამ წესებს დაემორჩილონ. მსახურთა უმეტესობამ თანხმობა გამოაცხადა.

✦ შაბათს, 18 აგვისტოს ყარაიაზის სადგურზე კინაღამ **დიდი უბედურება** დატრიალდა: ბაქოდან მომავალი სამგზავრო მატარებელი, რომელიც 11 ვაგონიდან შესდგებოდა, ლიანდაგს გადასცდა,და სრულიად დაიმსხვრა ბარგის ვაგონი. მესამე კლასის ერთ ვაგონი, რომელშიაც ოსმალეთში მიმავალი ასამდე ლეკი იჯდა, ძალიან დაზიანდა. დანარჩენ ვაგონებს არა დაშავებიათ-რა. კაცთაგან არავინ დაშავებულა. უბედურება იმით აიცდინეს, რომ მატარებელი დროზე იქმნა გაჩერებული.

✦ ტფილისის **საბჭოს პირველი სხდომა** ზაფხულში შესვენების შემდეგ მოხდება 4 ენკენისთვეს. ამ სხდომაზე, სხვათა შორის, განხილულ იქმნება საბჭოს ხმოსნების არჩევნების საქმე.

✦ ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიისაგან განცალკევების შემდეგ, რაც მოკლე ხანში მოხდება, ბათუმში, როგორც სწერენ, დაარსებული იქნება განსაკუთრებული **მუდმივი** განყოფილება ქუთაისის საოლქო სასამართლოსი.

✦ მოსკოვის ლაზარევის ინტიტუტის პროფესორი ბ. ალ. ხახანაშვილი, რომელიც ამ ზაფხულს სამეცნიერო საგნით მოგზაურობდა დასავლეთ საქართველოში, დღეს მიდის მოსკოვს.

✦ უფიმის ქალაქის თავის ინიციატივით, მთავრობას სთხოვენ ნება დართოს ქალაქების წარმომადგენელთ ერთ რომელიმე ადგილას **საერთო კრების** გამართვისა, სადაც წარმომადგენლებს ჰსურთ ქალაქის საქმეებზე მოლაპარაკება.

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ ტფილისის საბჭოს მდივანმა ს. თ. ჰრელაშვილმა უკვე შეადგინა ტფილისის ქალაქის მმართველობის **ასი წლის ისტორია**, რომელსაც ქალაქის გამგეობა საიუბილეოდ გამოსცემს. ამ თხზულებაში ბევრი ფაქტიური საინტერესო მასალაა თურმე მოქცეული. სხვათა შორის ვტყობილობთ, რომ ამ საუკუნის დამდეგს ქალაქს შემოსავალი ჰქონია 7,200 მან, რომელიც თითქმის სრულიად ქალაქის მმართველობის მოხელეებზე იხარჯებოდა. ქალაქის მმართველობის საქმე გაცხოველდა მე-60 წლებიდან. ამ ჟამად ქალაქის ბიუჯეტი უდრის 1.2000,000 მ.

✦ როგორც გადმოგვცეს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მდივანს ე. ო. იოსელიანს შეუდგენია ხსენებულ საზოგადოების **50 წლის ისტორია**. ეს თხზულება გამოიცემა ამ შემოდგომაზე.

✦ უწმ. სინოდის სამოსწავლო საბჭოს აღუძრავს საკითხი, რომ დაარსებულ იქმნას ყველა ეპარქიების **სამრევლო სკოლების** მასწავლებელთათვის საურთიერთო დახმარების საერთო კასსა.

✦ კავკასიის სამთო სამმართველოს 1900 წ. ანგარიშით, ბაქოში ბალახან-საბუნჩას სამრეწველო რაიონში აღნიშნულ წლის განმავლობაში მომხდარა **1444 უბედური შემთხვევა**. აქედან 153 უბედურება მომხდარა მრეწველთა მიზეზით, 607 მუშების გაუფრთხილებლობით, ხოლო 684 სხვა და სხვა მიზეზებით.

✦ 1900 წლის განმავლობაში, ტფილისის პოლიცმეისტრის წლიური ანგარიშით,

---

ში დაიწყო... „ყოველ მხრივ საუკეთესო საქმრო იყო თავის ტოლთა შორის“... ეს, ასე ვსთქვათ, ღირსებათა შორის უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ავტორს კი ყოველივე ეს ჯავრსა ჰგვრის და მაში მწარე ირონიას გამოიწვევს. ეხლა უყურეთ, როგორის დაუფარავის და მედიდურის ზიზღით გვიხატავს ეკ. გაბაშვილისა ლუარსაბის გარემოებას: „ლუარსაბი იყო თავის ხნის შესაფერად მეტად ტლანქი, რომ არა ვთქვა, დარგვალებული ბურთივით, კისერ-მოკლე, პაჭუა, წვერ-ულვაში რიჟა. რაც შეეხება თავის შემამკობელს და დამამშვენებელ თმას, ის რომ სანთლითაც არ მოეპოვებოდა, არამც-თუ მისი ფერი შეხამებოდა მის წვერ-ულვაშს... მაგრამ დამაგვირგვინებელი მიზეზთა მიზეზი, თუ რად ეზიზღებოდათ ლამაზ ქალებს ლუარსაბი, იყო მისი ხელები: რბილი, მსუქანი, და ცივი და მუდამ ნესტიანი.

ლუარსაბი ყოველ-გვარ საშუალებას ჰხმარობდა ამ სინესტის მოსაშორებლად... მაგრამ... ეს წყეული მაგრამ მისს უბედურად გაჩენილ არსებას არ აძლევდა მოსვენებას... ასე და ამ რიგად მხურვალე გული ლუარსაბისა, ლაზათიანად მოწყობილი სადგური, თითქმის გამოჩენილის ვექილის სახელი, სოფელში დაჩა, ბანკში კაპიტალი, უპატრონოთ რჩებოდა. არ იქნა და ვერ ეღირსა ლუარსაბს ლამაზი და განათლებული ქალის თანაგრძნობა...>.

სხვა შემთხვევაში ავტორი ყოველივე ამას უმნიშვნელო რამედ მიიჩნევდა, თვით იმ „ლამაზ, განათლებულ ქალებს“ გასწკეპლავდა, რომელიც ლუარსაბის უხეირო გარეგნობაში „სულის სიმშვენიერეს“ ვერ ჰხედვიდენ, აქ კი კბილების ღრჭენით აღნიშნავს და აღშფოთებულის ზიზღით იხსენიებს... რატომ? იმიტომ, რომ ლუარსაბს უცნაური თვისება სჭირდა. <ლუარსაბის არსება, მთელი მისი სურვილები მხოლოდ იმ აზრზედ იყო მიქცეული და იმაზედ უდიდესი საინტერესო არა ჰქონდა რა ლუარსაბს, რომ ლამაზი ცოლის შერთვა ჰღირსებოდა.“ ლუარსაბი არას დასდევდა იმას, რამდენად დააკმაყოფილებდა მისგან „ლამაზის ცოლის ძებნა“ ქ-ნ ეკ. გაბაშვილის შეხედულებას ცოლ-ქმრობაზედ. იმას ცოლი უნდოდა, ოჯახი უნდა მოეწყო, რადგან, მისის აზრით, ეს ერთ-ერთ იარაღთაგანი იქმნებოდა ცხოვრებისათვის მეტოქეობაში გასამარჯვებლად, თავისის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მოსაწესრიგებლად. ამიტომაც გაშმაგებულად დაეძებდა ცოლს, „პატრონს“ და კიდევაც მიაღწია სურვილს, „ლუარსაბს პატრონი გაუჩნდა“; ეს ქალბატონი, რომელიც ბედმა ლუარსაბს პატრონად მიანიჭა, იმ ჯურის ქალი გახლდათ, როგორც ბ. არაგვისპირელის მოთხრობის გმირი ქალი.

ეს განხორციელებული პირუტყვი იყო, რომელიც მარტო წუთიერის სიამოვნებისათვის სცხოვრებდა და გასაოცარის და ურცხვის ცინიზმით ეძიებდა იგიც „საქმროს“ და დიდის სიადვილით ჩაიგდო ხელში და გაახვია ქსელში «ცოლის» მაძებარი ლუარსაბი. გასაოცარის და დაუჯერებელის სისწრაფით ისარგებლა მისის „ქმრობით“ და ჯიბით. მალე მოატყუა, ვიღაც იტალიელ მომღერალს გადაჰყვა უცხოეთში და სინანულის მაგიერ, ასეთი რიხიანი ბარათი გამოუგზავნა იქიდან: „რაიცა შეეხება ჩვენს მომავალს ერთად ცხოვრებას... (არ მინდა მოგატყუო) ეგ ყოვლად შეუძლებელია. მე არტისტი ვარ და თავისუფალი ფრენა შეადგენს ჩემ სტიქიას, შენ ჩემ მეგობარო, მშრომელი მუშა—და დედა-მიწას უნდა დაჰყურებდე განუყრელად.“ და თანაც დასძენს ПОПОВСКОЕ... ვერ მოვინელე შენში და სწორედ ამის გულისათვის გამოვექეც (ესე უსინდისოთ შენის აზრით) გიმენეის კავშირსაო.

ეს ნიცშეს ახალ-მოდური მიმდევარი მანდილოსანი თავისის ურცხვობით კიდევ ერთხელ გაიმარჯვებს სულით დასუსტებულ ლუარსაბზე.

და საწყალი ლუარსაბი სულით სუსტი, დაშინებული, რაღაც ჰპნოტიზმის ძალით მოცული სრულიად დაემორჩილება ცოლის ბრძანებას და საუკუნოდ მისი ხარკის მძლეველი გახდება, თითქო უქველ და შეურყეველ ჭეშმარიტებად აღეარებინოს, რომ მართლაც ასეთი უშნო და უმსგავსი ქმნილება, როგორც იგი იყო დედა-კაცის ჟინის აღმასრულებელ მონებად იყვნენ გაჩენილნი.

მთელი ეს მოთხრობა უფრო ბრალმდებელი ოქმია, ვიდრე მწერლისგან მიუკერძებლად დასურათებული მოვლენა ცხოვრებისა. აკი მოგახსენეთ, ავტორმა არ დაზოგა მისის წარმოდგენის შემბლალველი და ზურგზედ ტყავი აართვა. ამიტომაც სა-

ტფილისში მომხდარა: ქურდობა-444, სახლის გატეხა და ქურდობა 63, გაცარცვა 25, მკვლელობა 6, დაჭრა-711, თავის მოკვლის განზრახვა 14, თავის მოკვლა 18, მოწამვლა 1, ცეცხლის წაკიდება 2, მშვიდობიანობის დარღვევა 367; უბილეთობის გამო ტფილისიდან გაგზავნილი ყოფილა 711 კაცი.

◆ როგორც ტფილისის პოლიცმეისტერის ანგარიშიდანა სჩანს, წასულ 1900 წლის განმავლობაში სხვა და სხვა უეცარი შემთხვევისა გამო გარდაცვლილა ტფილისში სულ 93 მამაკაცი და 20 დედა-კაცი.

◆ ამ წლის დამლევს პეტერბურგში გამოვა **ბრმებისათვის** ყოველ თვიური ჟურნალი, რომელიც დაიბეჭდება ბრიალის წესით.

◆ რამდენიმე ხნის წინად შინაგან საქმეთა სამინისტროში ერთის ქალაქის გამგეობას აღუძრავს საკითხი იმის შესახებ, რომ კარგი იქნება ქალაქის **საბჭოს ხმოსნები** არავითარ იჯარას არ იღებდნენ ქალაქისაგანაო. სამინისტროს გარდაუწყვეტია, რომ ეს საკითხი განიხილონ ქალაქის საბჭოებმა და თვისი აზრი წარუდგინონ ამის შესახებ სამინისტროს. ასეთი წინადადება მიიღო ამას წინად ტფილისის ქალაქის გამგეობამაც, რომელმაც ეს საკითხი განიხილა გუშინ, 20 აგვისტოს, და იმ აზრს დაადგა, რომ ქალაქის დებულების მე-106 მუხლის დამატება საჭირო არ არის და რომ სასურველიაო ქალაქის ხმოსნებს ნება ჰქონდესთ ქალაქის სამმართველოს კონტრ-აგენტობისაო.

◆ ხუთშაბათს, 23 აგვისტოს, ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ექმნებათ ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა გამგეთ სასწავლებელთათვის მომავალ წლის **ხარჯთ-აღრიცხვის** შესადგენად.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ მისწერა ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციას, დააჩქარონ იმ ცნობების შეგროვება, რომელიც საჭიროა **მაღლებზე გარდასახადის** ჩქარა შემოღებისათვის.

◆ ტფილისში ჩამოვიდა პოლკოვნიკი ანტრონოვი, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს **ცხენების აღწერას** სამხედრო ბეგრისათვის,

◆ ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ტეხნიკს ზურაბიანცს, **რაც შეიძლება მალე** შეაკეთოს სიონის ტაძრისაკენ მიმავალი ქუჩები.

◆ გუშინდელს №-ში ჩვენ გადმობეჭდილი გვქონდა პეტერბურგის გაზეთებიდან ამბავი უგ. თ. გრ. ვიტგენშტეინის დუელის შესახებ. გაზეთ „ნოვოსტი“-ს უკანასკნელ №-ში დაბეჭდილია ვიტგენშტეინის მეგობრების წერილი, რომლითაც აცხადებენ, რომ ეს ამბავი ჭორიაო და რომ ბ. მაქსიმოვი დუელში არავის გამოუწვევიაო.

სიონისტთა პირველი კრება ტფილისში

ორშაბათს, 20 აგვისტოს, ტფილისში დაიწყო სხდომები კავკასიის სიონისტთა პირველის კრებისა. სხდომას მრავალი ხალხი დაესწრო. თავმჯდომარეობდა ეკატერინოდარის სიონისტთა რწმუნებული მ. მ. უსიშკინი. თავმჯდომარემ გახსნა კრება 12 საათის ნახევარზე და შემდეგი სიტყვით მიჰმართა დამსწრე სიონისტებს:

„ლონდონში სიონისტთა უკანასკნელი კონგრესი მოხდა ერთი წლის წინად და იქ შემუშავდა სრულიად ახალი წესი, თუ როგორ უნდა შევუწყოთ ხელი სიონისტების იდეის გავრცელებას: ებრაელების, როგორც ცალკე ეროვნების, განვითარება და გამოფხიზლება. სად არ არის დედა-მიწის ზურგზე გაფანტული ეს მრავალ საუკუნოების განმავლობაში ყოვლად შევიწროებული და ყოველ მხრით ტანჯული ერი?! სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა ადგილებში ბევრი არა ადამიანური და ხშირად წინად განზრახული სისტემა ყოფილა შედგენილი ამ ხალხის სატანჯველად და საჯიჯგნელად, მაგრამ, ჩვენდა სასიქადულოდ, ებრაელებში ჯერ სრულიად არ ჩამქრალა სული ისრაელისა და ამიტომ სიონისტებისათვის არის სამოქმედო ნიადაგი და შეგვიძლია ვიზრუნოთ, რათა განვაახლოთ ამ ხალხში გრძნობა შეერთებისა ერთს კანონსა და ერთ ძალის ქვეშ. ამ მხრით სიონისტების ცდამ, მიუხედავად იმისა, რომ სულ ცოტა დრო გავიდა მათ მოღვაწეობის დაწყებიდან, კარგი ნაყოფი გამოიღო, რაც თავდებია ამისა, რომ მომავალში უფრო მხნედ და მეტის ენერგიით შევუდგებით საქმეს. სიონისტების მოქმედების შუაგულია შორეულს დასავლეთში—ლონდონში, საიდგანაც როგორც უკანასკნელ კონგრესზე გამოირკვა, ყოვლად შეუძლებელია მისწვდეს ხმა საქმის მეთაურთა ყველა იმ კუთხეებში, სადაც ებრაელები სცხოვრებენ. აი ამიტომაც კონგრესმა გადასწყვიტა ყველა ის ადგილები, სადაც ებრაელები სცხოვრობენ, დაჰყონ რაიონებად და შემდეგ პატარ-პატარა წრეებად, რათა უფრო ადვილად გაუძღვენ საქმეს. სიონისტთა რწმუნებულებს დიდი ამაგი მიუძღვით ებრაელის ხალხის წინაშე განსაკუთრებით მით, რომ გააცნეს ევროპის მთავრობათ ებრაელების მდგომარეობა და გამოითხოვეს უფლება რაიონების დაარსებისა რაზედაც კიდეც თანხმობა მივიღეთ, როგორც ევროპის ყველა მთავრობათაგან (ამათგან გერმანიის იმპერატორმა გერმანიაში სიონისტთა რწმუნებულს მადლობაც გამოუცხადა ებრაელებზე ასეთის ზრუნვისათვის), აგრეთვე რუსეთის მთავრობისაგან და კიდეც რუსეთში სიონისტთა პირველი კრება მოხდა ამ რამდენიმე ხნის წინად ეკატერინოდარში; ეხლა კი მეორე ხდება აქ, ტფილისში. ჩვენი მოწოდება არ დარჩა „ხმად მღაღადებლისად“ და ამ კრებაზე კავკასიის სხვა და სხვა კუთხეებიდან კიდეც მოვიდნენ 25 დელეგატამდე; ეს პირველი მაგალითი ერთი ორად გვიმატებს მხნეობას და გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ ჩვენი ცდა მომავალში დაგვირგვინდება ჩვენის ხალხისათვის კეთილის ნაყოფით. ამ კრებას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ექნება ჩვენს მოძრაობაში მით უმეტეს, რომ კავკასიის, განსაკუთრებით ქართველი ებრაელები, განათლებით ძალიან დაბალ საფეხურზე სდგანან, ასე რომ უმრავლესობას ებრაელებზე, როგორც ეროვნებაზე, არავითარი ჰაზრი თავში არ გაუვლიათ, მაგრამ შიგა და შიგ ჩვენ ვხედავთ ისეთ ელემენტებს, რომელნიც საუკეთესო და თანაც ძლიერი იარაღი იქნება სიონისტების სამოქმედოდ. თითოეულმა მათგანმა უნდა განუმარტოს თვის მოძმეს ებრაელს ის დიდებული აზრი, რომ ერთად ერთი ჩვენი ხსნა ჩვენ ერთმანეთში სულიერ დაკავშირებაშია, რისთვისაც უნდა შევქმნათ და გავაძლიეროთ სიონისტთა ბანკი, რომელიც დიდს სამსახურს გვიწევს სხვა-და-სხვა კუთხეებში შეუძლო თუ დამშეულ ებრაელების დასახმარებლად და განსაკუთრებით პალესტინაზე, ამ ჩვენ სამშობლოში, კოლონისტების დასასახლებლად და მათში მეურნეობა-მრეწველობის განსავითარებლად. ამ ცოტა ხნის განმავლობაში ამ საქმისათვის ჩვენმა ბანკმა 600,000 მან. ფული გაიღო და კიდეც მშვენიერი ნაყოფი გამოიღო; შედარებით ბანკს ჯერ არა აქვს ისეთი ძალა, რომ ყველგან გასწვდეს ებრაელებს. გამოკვლევით აღმოჩნდა, რომ ებრაელები ფილიპინის კუნძულზედაც-კი აღმოჩნდნენ გაფანტულნი, მრავალნი არიან აგრეთვე ბომბეიში შავ-კანიანი ებრიელები და აი ასეთ გარემოებაში რას გახდება ის, რაც გვაქვს ხელში. ამიტომ საჭიროა აგენტებმა მეტი დახმარება გაგვიწიონ ჩვენის ბანკის აქციების გავრცელების საქმეში“.

ამის შემდეგ ორატორმა მოიყვანა ცნობები რწმუნებულთა მოქმედების შესახებ. შემდეგ ერთხმათ ამოირჩიეს ბიუროს წევრებად ბ-ნი მ. უსიშკინი, ლ. შტრეიხერი და ექიმი ლ. ს. მირკინი. შემდეგ შეუდგნენ უსიშკინის რაიონის წრეების წარმომადგენელთა მოქმედების ანგარიშის განხილვას; ანგარიში კრებამ თითქმის შეუცვლელად მიიღო. სხდომა ნაშუადღევის 2 საათზე დამთავრდა და გადიდო საღამოს 6 საათისათვის.

პრესსა

რუსეთის ზოგიერთ საშუალო სასწავლებლებში შემოუღიათ ფრიად სიმპატიური საურთიერთო დახმარების წესი. მდიდარ შეგირდებს, შეძლების დაგვარად, შემოაქვთ ფული საერთო გიმნაზიის კასაში და შეგროვილ ფულის შემწეობით სასწავლებლის დირექცია დაიქირავებს ხოლმე აგარაკს და საზაფხულოდ მიჰყავს ღარიბი შეგირდები. ყველა ეს ფრიად მოსაწონია, მხოლოდ, „ნოვოე ვრემია“-ს აზრით, ღარიბ შეგირდების დახმარება უფრო სხვა რამეში უნდა გამოისახებოდეს. ბევრნი არიან იმისთანანი, რომელთაც სწავლის ფული ვერ შეაქვთ, რის გამო მათ ხშირად გამორიცხავენ ხოლმე სასწავლებლიდან. რასაკვირველია, საააგარაკო ცხოვრება კარგია და მარგებელიც შეგირდისათვის, მხოლოდ სხვა მისი გაჭირვება უფრო არის ყურადღების ღირსი.

„მთავრობამ დაადგინა, ამბობს გაზეთი, რომ თითო საშუალო სასწავლებელში მხოლოდ 15% განთავისუფლდება სწავლის ფულის გადასახადიდან. ამის გარდა ყოველ დიდ ქალაქში არსებობს ხოლმე ღარიბ შეგირდებისათვის დამხმარებელი საზოგადოება, რომელიც ანთავისუფლებს მხოლოდ 15% შეგირდების რიცხვიდან. ამისდა მიუხედავად, სამოსწავლო წლის დამლევს ყოველთვის არიან იმისთანა შეგირდები, რომელთაც სწავლის „უფლება ერთმევათ“, რადგან ვერ შეაქვთ სწავლის ფული. ამ უფლებას ჰკარგავენ ღარიბი შეგირდები. ფულის შეტანისაგან ანთავისუფლებენ კარგ შეგირდებს, მხოლოდ, რადგან ღარიბი შეგირდი წიგნების უქონლობის და საზოგადო მოუწყობლობის გამო, ვერ გაუწევს ქიშპობას იმათ, ვინც უკეთეს მდგომარეობაში სცხოვრობენ, ამიტომ მას სწავლისაგან შესატანი ფულის განთავისუფლების უფლებაც არა აქვს. აი სწორედ ამ შემთხვევაში საჭიროა ურთი-ერთ დახმარების მოხმარება... თუ თითო შეგირდი თვეში ერთ აბაზს შეიტანს კასაში ღარიბ ამხანაგის სასარგებლოდ, 8 თვის განმავლობაში ერთი კლასი, რომელშიაც სწავლობს 30 შეგირდი, შეაგროვებს 48 მანეთს, ესე იგი ერთ ღარიბ შეგირდს დაეხმარება. თუ ზოგიერთ სასწავლებელში „საგარაკო თანხისათვის“ შეგირდები აგროვებენ 800—900 მანეთს, სრული იმედი უნდა გვქონდეს, რომ ამოდენასვე, თუ არ მეტს, ღარიბ შეგირდების დახმარებისათვის შეაგროვებენო“.

ეს საშუალება უებარ საშუალებად არ მიგვაჩნია, რადგან იგი არა სპობს იმ მიზეზს, რომელიც ჰბადავს შეგირდთა შორის უთანასწორობას. ამისდა მიუხედავად მისს დროებით სარგებლობას ვერ უარვჰყოფთ, რადგან ამ გვარ დახმარებით რამდენიმე მოწაფე წელში გაიმართება და შეგირდთა შორის, ცოტა არ იყოს, ურთიერთთა დახმარების სურვილი გამტკიცდება.

⁂

მკითხველს მოეხსენება, რომ ამ ბოლო დროს სეტყვას ყუმბარებით ებრძვიან. ზარბაზნის ყუმბარას ჰაერი მოჰყავს მოძრაობაში, ჰაერი თბება და ამ გამთბარ ჰაერის მოძრაობის საშუალებით სეტყვის ღრუბელი იფანტება და იშლება აქეთ-იქით. ამ მოკლე ხანში ბ. სტანოევიჩს სხვა საშუალებაც მოუგონია სეტყვასთან საბრძოლველად. აი

ოცარი სასტიკი და მისის ნიჭის შეუფერებელი სურათები მოგვცა (მაგალითად, სცენა დედისა და შვილის შორის, რომელიც გარდამეტებული და თითქმის არ დასაჯერებელი სურათია გამხეცებისა და გაპირუტყვების). ავტორი იმდენად გაჯავრებულია, რომ გულ-მოწყალე მისი კალამი ერთ სიბრალულის გამომხატველ ანბანსაც კი არ გაიმეტებს. თვით ლუარსაბის თავგანწირული მოქმედება. დასურათებულია, როგორც შედეგი სულის სიბეჩავისა და სილაჩრის და არა, როგორც რწმენით გარდაწყვეტილი მოქმედება. ავტორმა გადმოანთხია მთელი ზიზღი, რომელიც აღუძრავს მასში მსგავსს მოვლენას, ამგვარ შეხედულებას ორ არსებისაგან „ცოლ-ქმრობის“ შესახებ. ლუარსაბის უგუნური „ძიება“ საცოლოსი იმდენად აშფოთებს ავტორს, რომ თითქმის მასზე მაღლა აყენებს ვერაგ ცუდა კაცს. ავტორი თითქო უფრო შენდობით ეკიდება ქალს, რომელსაც გარემოება აძალებს „იძიოს ქმარი“ და მიუხედავად მისა, რომ ამ ქალს არავითარი ქალური აღარა აქვს და გამორეტებული და გავერანებულია, მაინც ლუასაბზედ უპირატესობას აძლევს და მას შექმნის ლუარსაბისათვის განგების შურისძიების იარაღად.

ავტორი გაიტაცა ბრალმდებლობის როლმა და ცხოვრების მოვლენის დაფარული მიზეზები არ გადმოგვიშალა თვალ წინ; გაიტაცა ჯალათობის სურვილმა საზოგადოების უღირს წევრების მიმართ და მარტო მოვლენის ზედა პირი დაგვანახვა, ისიც გადამახინჯებული, და ქვეით გულის სიღრმეში, სულის ძირში კი არ ჩაგვახედვა. ავტორი გაიტაცა სასტიკმა მორალისტობამ და არ ეცადა გაეგო მოვლენა სავსებით, აეწონა მისი მიზეზი, არ ეცადა გაეზომა სიგრძე სიგანით და სიღრმით მოვლენა. არ ეცადა სავსებით შეეგნო მოვლენა, თორემ მოთხრობა მაშინ ასეთის მკაცრის, ისეთის გარდამეტებულის აღშფოთებით არ იქნებოდა სავსე.

ნიჭიერი მწერალი. როგორც ნაზის აგებულობის პატრონი ადამიანი, ყველაზე უფრო ადვილად უნდა აღაშფოთოს ცხოვრების მოვლენის უმსგავსებამ და უშინაარსობამ, მაგრამ მწერალს ყოველთვის მაინც უნდა ჰქონდეს ის დიდებული და ღვთაებრივი სიმშვიდე, რომელიც ზიზღს აქარწყულებს სიბრალულით, სისასტიკეს მოსათმენად ხდის სამართლიანობით, ჯალათობას გადაატანინებს მსხვერპლს, რადგან მისი ჯალათობა უმაღლესის სიყვარულის ნაყოფია და არა დაბრმავებულის გაჯავრების. მწერალმა უნდა საჯოს, მაგრამ უნდა იყვეს მოთმინებითა და სათნოებით აღსავსე მსაჯული; მწერალი უნდა აღშფოთდეს, მაგრამ ისიც არ დაივიწყოს, რომ იგი ბრალმდებელთან ერთად მსაჯულია და საქმის ვითარების ყოველივე გარემოება აღნიშნოს; მწერალმა უნდა გადმოგვიშალოს თვალის წინ მოვლენის ის მხარე, რომელმაც მიიქცია მისის ნიჭის ყურადღება, მაგრამ, რამდენადაც შესაძლოა, მოვლენის ყოველი მხარე უნდა დაგვანახვოს, რომ სავსებით შეგვეძლოს მოვლენის შეგნება. თუ ასე არ მოიქცა მწერალი, მისი ნაწარმოები ხელოვნური აღარ იქნება, მის ნაწარმოებს უფრო პუბლიცისტური ხასიათი ექნება.

ასე დაემართა ქ-ნის გაბაშვილის უკანასკნელ მოთხრობას. ხოლო ერთ მის ღირსებათ უნდა ჩაითვალოს, რომ აღნიშნა ეს მოვლენა, საუბედუროდ, მეტად ხშირი ჩვენს ცხოვრებაში—კაცებისაგან „ცოლის“ ძებნა. თუ ცოტა არ იყოს მოთმინებით ვეკიდებით „ქმრის“ ძებნას—იმიტომ, რომ ქალი სულ სხვა სოციალურ პირობებშია და დღევანდელი ისტორია ისეა მოწყობილი, რომ ძალაუნებურად ქალი მარტო „ქმარს“ ეძებს ამ სოფლად. მაგრამ მამაკაცს კი—და მერე კიდევ „განათლებულს“—სრულიადაც არ ეკადრება ეს დაუსრულებელი ძებნა „ცოლისა“. ლუარსაბის მსგავსნი ისე ეძებენ «ცოლს»; თითქო მართლაც რაღაც გეშეფტი იყოს, თითქოს რაღაც მოსაგები ვაჭრობა იყოს ცოლ-ქმრობა, თიქთო რაღაც მადანი იყოს, რომლისგან მოგება უეჭველია და აუარებელი. ავტორს ეს შეხედულება სრულიად სამართლიანად გასაკიცხად მიაჩნია, ეს მოვლენა აღმაშფოთებელ და დასაგმობ მოვლენად, მაგრამ მოვლენის საზიზღრობის სავსებით აღნიშვნა მიატოვა და მოქმედ პირთა განკიცხვას მოუნდა, რამაც ხელოვნური მხარე მოთხრობისა პუბლიცისტურ მხარეს ჩააყლაპვია.

კიტა აბაშიძე.

რას ვკითხულობთ ამის შესახებ „ნოვ. ვრემია“-ში.

„ელექტრონის ძალას, რომელიც ხელს უწყობს სეტყვის მოსვლას, ჰაერის მოძრაობა ასუსტებს და აქარწყლებს. ამისათვის ბ. სტანოევიჩმა მოისაზრა იმისთანა იარაღის გაკეთება, რომლის საშუალებით ჰაერი დიდ მოძრაობაში მოჰყავდა.. პატარა დაბმულ ჰაეროსტატს მიაბა ელექტრონის ზარი და სირენა (ტრუბა), რომელნიც ამოძრავებენ ჰაერს უფრო მეტის ღონით, ვიდრე ზარბაზნის ყუმბარები. ჰაეროსტატი, რასაკვირველია, იმ სიმაღლემდე ავა, რა სიმაღლეზედაც გროვდებიან ღრუბლები“.

პრაქტიკულად ჯერ არ გამოუცდიათ ეს საშუალება. მხოლოდ ამ პროექტის ავტორს დიდი იმედი აქვს, რომ ეს ახლად მოგონილი საშუალება უებარ საშუალებად გამოდგებაო. ვნახოთ, რას გვეტყვის გამოცდა.

პროვინცია

ს. ბოდბისხევი (სიღნაღის მაზრა). ეს სოფელი ერთი უდიდესი სოფელია მთელს ქიზიყში—სულ 900 კომლამდე ითვლება აქ. უწინ სიმდიდრითაც გამოჩენილი იყო ეს სოფელი და სიდიდითაც, მაგრამ რაც დრო და ხანი გადის, იმდენათ უკან მიდის სოფელი ქონებრივათ და რამდენიმე ამისთანა მოუსავლობიანი წელიწადი რომ დაატყდეთ თავზედ, როგორიც წელს გახლდათ, ხომ ქონებით სულ დაეცემა კიდევაც. ქონებით მეთქი ვამბობ, მაგრამ არც გონებით შეუძლიან თავის ქება. ამოდენა სოფელში მარტო ერთი სამრევლო-დაწყებითი ერთ-კლასიანი სკოლაა და იმის უზრუნველ-ყოფაზედაც არავინა ფიქრობს, თორემ სხვა გონებით საზრდოზედ ფიქრი და ზრუნვა ხომ სულ მეტ ბარგათ მიაჩნიათ. თუმცა კი ამოდენა სოფლისთვის ერთი რიგიანათ მოწყობილი ორ-კლასიანი სასწავლებლის დაარსება აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, მაგრამ აბა ამაზედ ვინ იზრუნებს? აქ ისეთი ინტელიგენტი არავინ არის და არც შეძლებული მემამულენი არიან, რომელთაც შეეძლოთ დახმარება ქონებრივ თუ გონებით და სკოლის მოწყობაზედ ზრუნვა. თუმცა ვერ დავწამებთ, რომ ამ სოფელში არ იყოს გაღვიძებული სწავლის შექნის წყურვილი. რამდენიმე გლეხს თავიანთი შვილები სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებელში უბარიათ და სცდილობენ, რითიც შეიძლება, შვილებს ასწავლონ. არის ამ სოფელში ერთი ოჯახი, რომელიც სცდილობდა უწინ დაბალ ხარისხის სამეურნეო სკოლის გაწყობას, სადაც უფრო ყველისა და ერბოს მომზადება უნდა ესწავლებინათ, მაგრამ მაშინ თანამგრძნობი ცოტა იყო და ახლა კიდევ ამ კეთილ-განზრახველთ გარემოება აღარ უწყობს ხელს. ამ სოფელს ცხადათ კი ემჩნევა გამოღვიძება და ახალ მოძრაობაში ჩარევა, მაგრამ ჯერ კიდევ შორს არის ის დრო, როდესაც იქამდის მივა, რომ ყოველი თავის საჭირო-სასარგებლო საქმე თვითვე მოაწყოს სხვის დაუხმარებლათ. ამ სოფლიდან ბევრი ჩარეულა საერთო სავაჭრო ფერხულში. რამოდენიმე პირს გაუხსნია სავაჭრო დუქანი და ვაჭრობს კიდევაც, მაგრამ მაინც დედა ძარღვი ვაჭრობისა ვერ შეუგნია და ეს ვაჭრობა უფრო ჩარჩულია, ვიდრე ნამდვილი მოვაჭრული. ბევრს გამოუწყია დუქანი, მაგრამ სოფლურ საქმეს მაინც თავს არ ანებებს და ეს უნდა იყოს იმისი მიზეზიც, რომ აქ გარეშე მოსული ხალხი—სომხობა—უფრო რიგიანათ ვაჭრობს ქართველებზედ. საზოგადოთ ისე იცვალა სოფელმა ფერი (და სახეც აღარ იცვალა), რომ წინანდელ დარბაისელ და რიგიან დაწყობილ ჭკვიანურ-მოსაუბრე მოაზრე პირთ ვეღარ შეხვდებით. შეგხვდებათ, რასაკვირველია, სიტყვა-პასუხით მოლაპარაკე კაცი, მაგრამ ამ ზრდილობიან პასუხში რაღაც არა სიამოვნო რამ გამოსჭვივის, რომელიც თქვენს გულში თქვენ უნებლიეთ უნდობლობას ბადებს და ეჭვის თვალით გაცქერინებთ მის ნათქვამში. ამოდენა სოფელი რომ მოიაროთ, ერთს სამამასახლისო კაცს ვერ ამოირჩევთ, რომელზედაც შეიძლება კაცმა სთქვას: აი ამას კი შეიძლება კაცმა არხეინათ ანდოს მთელი სოფელი, მისი ავი და კარგი და იმედია გაუძღვება სოფელს, მის ჭირს და ვარამზედ იზრუნებს და ცოტათ თუ ბევრად გაუწევს დახმარებას შინაც და გარეთაც. ერთი ორი სამედო პირია ამ სოფელში და შეგნებული კაცი, მაგრამ ისინიც კეთილ-მობილნი არიან. ერთი მათგანი რამდენიმე ყავლობაც იყო მამასახლისად და კარგი ნდობაც დაიმსახურა სოფელში. და მერეც ეცადნენ იმისავე არჩევას, მხოლოთ მთავრობამ არ გაუშვა, რადგან იმ ხელათ განკარგულება იყო, რადგან ბევრგან თავისუფალ ხალხიდან არჩეულ მოხელეთ არ გაამართლეს იმედი, სოფლის მოხელეებათ გლეხთაგანივე არჩიათ. მას აქეთია ამ სოფელმა მამასახლისი ვეღარ შეირჩინა ყავლობამდის (ვადამდის), რამდენიმე გამოცვალეს და დღესაც ისევ უმამასახლისოთ არის. სოფელი ისევ ამ ნამამასახლისარ თავისუფალი კაცის ამორჩევას აპირებს. იმედია, ხალხი ენერგიულათ მოითხოვს თავის უფლებას, ამოირჩევს თავის სურვილისამებრ ძველს ნაცადს კაცს, ან მეორეს და ეცდება ეს თავისი უფლება დაიცვას კანონიერათაც. მოითხოვს, სადაც ჯერ არს, რომ მას ვინცა სურს ამოირჩევს თუ ამის კითხულია ამორჩევა თუ არა და უფლება ჩამოაცალონ. როგორც გავიგეთ, რაკი დარწმუნდნენ ამ სოფელში საჭიროა ისევ თავისუფალი კაცი იყოს მამასახლისად, არც სათანადო უფროსნი-და არიან წინააღმდეგნი და მაზრის უფროსიც ეცდება სოფელს მხარი დაუჭიროს და თავისუფალი კაცი გაატაროს სოფლისავე სასარგებლოთ. ბოდბისხევში სულ რამდენიმე ეკლესიაა და ოთხი დღეობაც იცის ამ სოფელში, მაგრამ ყველაზე უკეთესი და მთელს ქიზიყში შესანიშნავიც იყო ხოლმე უწინ მარიამობის დღეობა 14 აგვისტოს. მთელი ქიზიყის ხალხი იყრიდა ხოლმე აქ თავს და დროს ატარებდა. „დალოცვილი ბოდბისხევი წყალ-წისქვილით გამართული, წინ ვენახი, უკან ტყენი, შუალაფრით არს შემკობილია—ამბობდნენ ქიზიყში და მართლაც შეიძლებოდა ეთქვათ ამაზე უწინ, როდესაც ცხოვრება სდუღდა და გადმოდიოდა აქ და მკვიდრნიც გულ-უხვად უმასპინძლდებოდნენ მოსულ სტუმართ. წელსაც ბლომა ხალხი დაესწრო ამ დღეობაზე, მაგრა უწინდელი დღეობის ელფერი აღარ ედო. ხალხი სადღეობოდ იყო მოსული და მორთულიც, მაგრამ ამათ სახის გამომეტყველებას მაგდენი სამხიარულო არა ემჩნეოდარა და უფრო ნაღვლი გამოსჭვიოდა, ვიდრე ლხინი. ცოტათი ჩაკვირვებული კაცი სახეზე აშკარად ამოიკითხავდა, რომ ეს ხალხი უფრო რაღაც ჩვეულებას მოუყვანია აქ და საქმის გულისათვის უფრო დაძრულა სახლიდან, ვიდრე დროს გასატარებლად. იმათი ურთიერთ შორის საუბარი ხომ აშკარად დადადებდა, თუ რა აწუხებს ხალხს. ყველგან და ყველასაგან წლევანდელს მოუსავლობაზე და გაჭირვებულ მდგომარეობაზე ისმოდა ლაპარაკი. დიდ-ძალი საქონელი მოერეკნათ გასასყიდად—უფრო ხარი და ძროხა, მაგრამ კი არ იყიდებოდა. სხვა-და-სხვა გვარი სავაჭროც მოეტანათ, მაგრამ უფრო ფეხ-საცმელი და ქვევრების სარეცხი სარცხები იყიდებოდა. დღეის იქით დღეობები უფრო ბაზრებათ (იარმუკებად) გადიქცევიან და უწინდებურ დღეობის მნიშვნელობას მალე დაკარგავენ.

გულამე

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

20 აგვისტო.

პეტერბურგი. მთავრის ევგენი მაქსიმილიანის ძის რომანოვსკის დასაფლავება სამშაბათს, 21 აგვისტოს მოხდება ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

19 აგვისტოს ღამით დაიწვა ეგრედ წოდებული „მალი თეატრი.“

პარიზი. გაზეთ «დრაპოში» დაბეჭდილია დერულედის „შესანიშნავი ბრძანება“, რომლითაც პატრიოტთა ლიგის პრეზიდენტი სთხოვს თავის მეგობრებს და ნაციონალისტებს, დაივიწყონ ყოველივე შინაური უთანხმოება, სანამ რუსეთის იმპერატორი საფრანგეთში დარჩება; იწვევს ყველა პატრიოტებს მხარი მისცენ პრეზიდენტ ლუბეს, რომელიც დიდებულ სტუმრებისათვის მხოლოდ საფრანგეთის წარმომადგენელია. „სანამ რუსეთის იმპერატორი, ამბობს დერულედის ბრძანება, საფრანგეთის სტუმარი იქნება, ლუბე, რომელიც იმპერატორის გვერდით იქმნება, ჩვენთვის მხოლოდ საფრანგეთის პრეზიდენტი უნდა იყოს. თავი დავანებოთ უთანხმოებას, წავიდეთ დიუნკირხენში, წავიდეთ რეიმსში და ყველა ერთად მივესალმოთ ჩვენს მოკავშირეს ამ სიტყვებით: გაუმარჯვოს ხელმწიფეს, გაუმარჯვოს საფრანგეს! რათა იმპერატორმა არ შეამჩნიოს ის საშინელი განხეთქილება, რომელიც სამი წელიწადია აგერ, რაც ჩვენს შორის ჰსუფევს.»

რემირემონი. დამსახურებულ სამხედრო პირთა ბანკეტზედ, მელინმა სიტყვა წარმოსთქვა და გაჰკიცხა რევოლიუციონერები, რომელთაც ჰსურთ გააუქმონ მუდმივი ჯარი და სამაგიეროდ უბრალო მილიცია დააარსონ. „რამდენადაც მეტად დევნიან ჯარს,—სთქვა ორატორმა,—იმდენად მეტად ესარჩლება მთელი ქვეყანა და ეს საუკეთესოდ დამტკიცდება რუსეთის იმპერატორის მოსვლის დროს. ვინც ჰგმობს მხედრობას, დარწმუნდება, რომ არ ძალუძთ მხედრობასთან იმ კავშირის შეწყვეტა, რომელზედაც დამყარებულია საფრანგეთის უშიშროება. ვისაც საფრანგეთი გულ-წრფელად უყვარს, ერთგულებისა და სამშობლოსათვის თავ-განწირულობის გრძნობა უნდა აღაფრთოვანოს რუსეთის იმპერატორის და პრეზიდენტ ლუბეს შეხვედრის დროს“.

კოპენჰაგენი. ამალიენბორგის რეზიდენციის სასახლეში მეფემ მიიღო პირველ სართზე დიდძალი ხალხთა წარმომადგენლები, რიცხვით 800,000 კაცი, რომელთაც მადლობა მოახსენეს მეფეს მინისტრების გამოცვლის გამო. განსაკუთრებული დეპუტაცია, გლეხის ოლე ინსონის მეთაურობით, სასახლეში მივიდა და წარუდგა მეფეს, რომელთანაც იყვნენ სამეფო სახლის ყველა წევრნი, სხვათა შორის, რუსეთის ქვრივი დედოფალი, ინგლისის დედოფალი და საბერძნეთის მეფე. დეპუტაციის წინამძღოლმა მადლობა შესწირა მეფეს იმ ნდობისათვის, რაც მეფემ ხალხის უმრავლესობას გამოუცხადა. მეფემ უპასუხა: „გმადლობთ, ბატონებო. თქვენ, რომელნიც შორიდამ მოხვედით ჩემდა მოსასალმებლად, 15 ივლისი ჩემთვისაც საგულისხმო დღეა, რადგან ეს დღე დასაწყისია ნაყოფიერ შრომისა სამშობლოს საკეთილდღეოდ. მე მოვიწვიე ეხლანდელი მრჩეველები და სრული ნდობა მაქვს მათის ნიჭისა და სამშობლოსადმი სიყვარულისა და რომდენადაც დარწმუნებული ვარ, რომ ეს ნდობა არ გამიმტყუნდება, იმდენად სამინისტროც უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მეც დავეხმარები. მტკიცედ მრწამს, რომ დიდი უმრავლესობა ხალხისა, რომელიც ამ მინისტრების მოწვევაში თავის სურვილის განხორციელებას ხედავს, საქმით დაამტკიცებს, რომ არამც-თუ თავისგანვე არჩეულ კაცებს, როგორც ოპოზიციის წინამძღოლებს, მხარს მისცემს, არამედ დაეხმარება იმათ როგორც მთავრობის წინაშე პასუხის მგებელ წინამძღვრებს. გთხოვთ ჩემი გულ-წრფელი სალამი გადასცეთ ყველა იმათ, ვისის სახელითაც აქ მოხვედით. იმედი მაქვს დღევანდელი ცვლილება დაჰბადებს თანხმობას და ერთობას სამშობლოს საკეთილ-დღეოდ და საბედნიეროდ.“

სადღესასწაულო სადილის დროს რომელსაც 2,200 კაცი დაესწრო, რჩევის თავმჯდომარემ დენცერმა სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც სამინისტროს მოღვაწეობის გეგმა დაახასიათა: სისხლის სამართლის და საპოლიტიკო საქმეებში ნაფიც მსაჯულთა შემოღება, სახალხო დაცვისათვის მზრუნველ კომისიის დაარსება, მცირე მოხელეთა მდგომარეობის გაუმჯობესება, გადასახადთა სისტემის შეცვლა, და სხვათა შორის, გაუქმება ათის თავის გადახდისა. ახალი სამინისტროს დანიშნულება, თავმჯდომარის აზრით, ის არის, რომ სწორედ ეხლა უნდა დამყარდეს ნამდვილი სახალხო მმართველობა.

ლონდონი. კიტჩენერი პრეტორიიდან იტყობინება, რომ რაზმს, რომელიც აფეთქებულ მატარებელს ახლდა გამაანკრალში, მოუკლეს პოდპოლკოვნიკი ვანდელერი, ამასთანავე 9 მოკლულია და 17 დაჭრილი. დაჭრილები პრეტორიაში მიიყვანეს. რაზმში 45 კაცი იყო.

მოსკოვი. ვორობიევის მაღლობებზე რეზერვუარის კეთების დროს აღმოაჩინეს იოვან-მრისხანეს ძველი სასახლის კედლები. მიწის თხრის მიხედვით შენობის გეგმას იღებდნენ; ამ ჟამად გეგმა დამთავრებულია და მთელ სასახლეს წარმოადგენს. სასახლის ყველა კედლები დამაგრებულია მუხის ბოძებით.

ოდესსა. მთავარ-სარდალმა, გრაფმა მუსინ პუშკინმა წინადადება მისცა ქალაქს, რომ საუკუნოდ აღნიშნოს გამარჯვების ის ადგილი, სადაც 1854 წელს პრაპორშჩიკმა შჩეგოლევმა გაიმარჯვა, იმით, რომ ამ ადგილს ეწოდოს შჩეგოლევის სახელი და სადაც შჩეგოლევის ბატარეია იმყოფებოდა, იქ დაიდგას სვეტი შესაფერის ზედ წარწერით.

ხარკოვი. ავაზაკ ციგანთა მეორე ჯგუფი სამხედრო სასამართლოს გადასცეს; საქმე გაირჩევა სექტემბერში. იმათ ჰბრალდებათ წარსული წლის სექტემბრის განმავლობაში 7 დანაშაულობის ჩადენა და 8 მკვლელობა გარდა იმ საზიზღარ მკვლელობისა ნოვო-ივანოვის სასოფლო სამმართველოში, სადაც 9 კაცი მოჰკლეს.

ასხაბადი. 17 აგვისტოს მე-14-ე კასპიის იქითა მხრის მსროლელმა ბატალიონმა, რომელიც ასხაბადში სდგას, გუბერნატორის თანადასწრებით, დიდის ამბით იდღესასწაულა თვისი ასის წლის იუბილეი.

რედაქტორი ალ. შუღნაძე.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი

დილიჟანების მიმოსვლა
ქარელსა და ცხინვალს შორის

პატივისცემით ვაუწყებ საზოგადოებას, რომ 15 მარიამობისთვიდან ჩვენი დილიჟანები ივლიან ქარელსა და ცხინვალს შორის დღეში **ორჯელ**: ქარელიდან მიდის დილით 12-ზე და საღამოთი 6 საათზე; ცხინვალიდან გამოდის დილის 7-ზე და ნაშუადღევის 1 საათზე. ფასი კაცის თავზე 80 კაპ.

აბელ კალატოზიშვილი
(5—1)

დაიბეჭდა და იყიდება **წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში**: შ. არაგვისპირელის **პირველი წიგნი**, ფასი ათი შაური. ისტორიული რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან ივ. ვაზოვისა „**დამონებულნი**“, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, გამოცემა სპ. ნარაკიძისა, ფასი ერთი მანეთი. პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნები შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество. გადასაგზავნი ხარჯი არ გარდახდებათ მათ, ვინც ზემოხსენებულ ადრესით დაიბარებს და წიგნების ღირებულ ფასს (მანეთ ნახევარს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Августа 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.